



**ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება №15**

2018 წლის 31 იანვარი  
ქალაქი ახალციხე

**„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №28 დადგენილებაში (ვებგვერდი [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 28/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.138.016307) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე